საქართველოს მთავრობის

დადგენილება №187

2024 წლის 10 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 აპრილის №64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 1 აპრილის №64 დადგენილებაში (სსმ, 2005 წელი, №33, მუხლი 332) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად, შეიქმნას საქართველოსა და უზბეკეთის რესპუბლიკას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის საქართველოს მხარე შემდეგი შემადგენლობით:

ლევან დავითაშვილი	–	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერი, კომისიის თანათავმჯდომარე;
გენადი არველაძე	–	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;
თენგიზ ნასარიძე	–	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;
ალექსანდრე ხვთისიაშვილი	–	საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
მზია გიორგობიანი	–	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;
ალექსანდრე წულაძე	–	საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე;
გივი ზედელაშვილი	–	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვაჭრობის განვითარებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
ეკა ყუბუსიძე	–	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი;
ალექსანდრა სულაძე	–	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ნანა შავიძე	–	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვაჭრობის განვითარებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის მეზობელი ქვეყნების და რეგიონის სხვა ქვეყნების სამმართველოს უფროსი, კომისიის პასუხისმგებელი მდივანი;
ნინო უტიაშვილი	–	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი;
ომარ კაჭარავა	–	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველი;
დავით ფერაძე	–	სს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი;
გიორგი პერტაია	–	სსკ „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის“ პრეზიდენტი;
მიხეილ ხიდურელი	–	სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში დირექტორი;
ალექსანდრე ონოფრიშვილი	–	სსიპ – კურორტების განვითარების სააგენტოს დირექტორი;
გოგიტა თოდრაძე	–	სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი;
თამარ ყორიაული	–	სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე;
ვახტანგ ჯორბენაძე	–	სს „საქართველოს განვითარების ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
კახი დემეტრაშვილი	–	სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე;
ზურაბ წიკლაური	–	სსიპ – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
ვახტანგ ლომჯარია	–	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;
მერი მაჭარაშვილი	–	სსიპ – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსი;
გოჩა ალადაშვილი	–	სსიპ – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს, წამლის რეგისტრაციის, კლინიკური კვლევების და ფარმაცევტული დაწესებულებების ნებართვების სამმართველოს უფროსი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**